ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2482281

ნომერი: AR1384814

თარიღი : 09.03.2016

გაცემის თარიღი : 17.03.2016

გაცნობის თარიღი : 20.03.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზის მე-12 კმ-ზე.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სარდლიშვილი პ/ნ 31001002152
- მცხეთა ს. ლისი

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. ,,უტა+,, კოდი: 404964240

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსამრეცხაო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2016 წლის 09 მარტის #AR1383045 განცხადება, რომლითაც ითხოვთ საკადასტრო გეგმით #01.10.06.004.001 მიწის ნაკვეთზე საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტის (ავტოსამრეცხაო) ასაშენებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ შემდეგს:
როგორც #2179127 (09.09.2015) გადაწყვეტილებით გეცნობათ, AR1338547 01.09.2015 განცხადების საფუძველზე, საკითხი გადაიგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში რომელთა პოზიციები შემდეგია: 1) უნდა შეიცვალოს გაზონის კონფიგურაცია, რათა არ მოხდეს აღმაშენებლის ხეივნიდან ავტოტრანსპორტის შესვლა აღნიშნულ ტრეიტორიაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური) და საკითხი უნდა შეთანხმდეს ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან. 2) წარმოსადგინია საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი და მუდმივი სქემა 4-4 ეგზემპლარად (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური).
გამომდინარე აქედან, პირველ რიგში უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული პირობების შესრულება, რის შემდგომაც შესაძლებელი იქნება მსჯელობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით.
ასევე გაცნობებთ, რომ მშენებლობის ნებართვის პირველი სტადიის გასავლელად აუცილებელ დოკუმენტებს წარმოადგენს ტოპოგრაფიული გეგმა და საინფორმაციო დაფა.
საპროექტო ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით).
ტოპოგრაფიული გეგმა ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის შესაბამის დახარვეზებულ ველში.

საინფორმაციო დაფა – (განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში დაგეგმილი მშენებლობისას, ნებართვის მაძიებელი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსებას) სადაც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ: შენობა-ნაგებობის მისამართი, შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები, შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.(საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი.საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ).
საინფორმაციო დაფა უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის დახარვეზებულ ველში (საინფორმაციო დაფა–ბანერი*).

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.